წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 31 მკათათვე 1916 წ. № 170

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ... კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უფასოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

დღეს, 31 მკათათვეს, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მგოსან

## ვაჟა-ფშაველას
## (ლუკა რაზიკაშვილის)

სულის მოსახსენებლად,

რასაც აუწყებს მკითხველ საზოგადოებას გაზეთ

### „საქართველოს“ რედაქცია

წირვა დაიწყება 9 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ.

ორშაბათს 1 მარიამობისთვეს, გარდაცვალების მეორე წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მამა-დავითის ეკლესიაში ღვთისმეტყველების მაგისტრის

## დეკანოზი გიორგი ლაზარეს ძე
## ხელიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი სალომე კონსტანტინეს ასული შვილებით, სიძეთი და შვილიშვილებით

(1-286-1)

სოფ. ხოვლეში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## თ-დი მიხეილ ნიკოლოზის ძე
## ვიზირიშვილი

რასაც ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი ელისაბედ როსტომის ასული და შვილი ელისო მიხეილის ძე ვიზირიშვილები

დაკრძალვა მოხდება დღეს, 31 მკათათვეს, სოფ. ხოვლეში წმ. მარინეს ეკლესიის გალავანში, ნაშუადღევის 1 საათზე.

(1-288-1)

## ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 1—7 აგვისტომდე.

**ორშაბათი**—ოპერეტკა.
**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით. მონაწ. რასტრ პოვიჩი.
**ოთხშაბათი**—კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა ბ. ალ. გესის ლოტბარობით. ბენეფისი კონცერტმეისტერის მ. ა. ბელსკისა.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—სამხედრო ორკესტრი—საზანდარი.
**პარასკევი**—როგორც დიდი უქმის წინა დღე არავითარი გასართობები არ იქნება.
**შაბათი**—კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა ბ. ალ. გესის ლოტბარობით. მონაწილეობს ი. პ. სარაჯევი.
**კვირა**—საყმაწვილო საღამო—სინემატოგრაფი. სამხედრო ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა სალ. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა $8^1/_2$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა $8^1/_2$ საათზე.
„ საყმაწვილო საღამოსი 5—8 საათ.

კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. ორშაბათს, სამშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კაპ., მანდილოსნებისა და სტუდენტებისა—65 კაპ. (1—200—1)

## ახალი მელანი
### კოტე ონიკაშვილისა

**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**

ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., $^1/_2$ გირვანქა—50 კაპ. $^1/_4$ გირვანქა—30 კაპ.

ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.

გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.

**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**

**მისამართი:** ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

## ვამზადებთ პიროვნით

პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-10)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის ღელმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

## ექიმი გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 18.

დ. ზესტაფონში

ექიმი

## დ. პ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

## ვ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ვოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში კორპუსის ბანაკში**

### თბილისი, 31 მკათათვე

**სად ვცხოვრობთ?**

ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებში უმაღლეს წერტილამდეა ასული პოლიციის ბოროტმოქმედება და თავხედობა. გაუნათლებელი და ყრუ ხალხი, რომელმაც არც გზა იცის და არც კარი რომ უმაღლეს მთავრობას მაინც შესჩივლოს დაბალი მოხელეებისა და ჩაფრების წრეგადასული თვითნებობა, მორჩილად იტანს ყოველგვარ უსამართლობას და ათასში ერთხელ თუ მოახწევს პროტესტამდე მისი გატანჯული სულის ამოძახილი; და თუ მეტის-მეტი ბოროტებისაგან მოთმინება დაკარგულმა სოფელმა რამე ჩაიდინა, დამნაშავედ მაშინვე მთელი მხარე გამოცხადდება და აბა მაშინ ნახეთ ბოქაულების და ჩაფრების მათრახების ამუშავება და განუკითხავად, ბრალიან-უბრალოს რბევა-აწიოკება. თვის წრიდან გაჭრილ ყაჩაღისაგან ხალხი, ასეა თუ ისე, თავს მაინც დაიცავს, მაგრამ ბოქაულს და ჩაფრებს, რომელთაც მთავრობის დაყენებული პირები ჰქვიან, ვინ რას გაუბედავს? თუ ბოქაულმა და ჩაფრებმა სინდისზე ხელი აიღეს ღვთის გულისთვისაც სოფლის ხალხი არ შეიბრალეს, მორჩა და გათავდა! ამ ხალხისთანა უბედური და გატანჯული დედა-მიწის ზურგზე ძნელად თუ ვინმე იქნება. უმართებულო შევიწროება, დარბევა და ძარცვა-გლეჯა ყოველ წამს მოელის წესიერების დამცველი ადმინისტრაციისაგან და ყველაფერი ეს უდრტვინველად უნდა აიტანოს, რადგან იცის გამოცდილებით, თუ რამე გაბედა, ერთი-ორად დაუჯდება. სოფლიდან ხომ ვერ გადასახლდება და ისე ბატონ ბოქაულს და ჩაფარს ხელიდან ვერ წაუვა. შეურაცხყოფილი, გალახული და აკლებული სოფელი ამ ვაი უბედურებაში ცხოვრობს და იტანჯება!

ამ სამი დღის წინად ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა უსამართლობას განიცდიდა საქართველოს სამხედრო გზაზე სამუშაოდ ძალად გაყვანილი ხალხი. დავინახეთ, რომ მუშა ხელის საშინელ ექსპლოატაციას ეწეოდენ ამ გზის შეკეთების მეთვალყურენი და რომ ძლიერ ხშირად ხვედრ ხელფასსაც თავის დროზე არ აძლევდენ ხოლო ზოგსაც სრულებითაც არაფერს აძლევდენ!

ორიოდე თვის წინად ხევსურეთიდან რამდენიმე გლეხი ჩამოვიდა და გვიამბო ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც ჩაუგდია მთელი სოფელი იქაურ ბოქაულსა და ჩაფრებს. ამ დღეებშიაც რედაქციაში შემოვიდა რამოდენიმე ხევსური და პირდაპირ დაუჯერებელი სცენები გადმოგვცა იქაურ მაზრის უფროსისა დ ბოქაულ-ჩაფრების ცხოვრებიდან. ამავე საგანზედ კორესპონდენციაც მოგვივიდა, რომელიც გაზეთის გუშინდელ ნომერში დავბეჭდეთ კიდეც. აი სხვათა შორის რას იწერება ეს კორესპონდენტი:

„ამ თვის 8, როდესაც ხალხი ბრუნდებოდა ხატობიდამ, ყაჩაღებმა მლოცველებს გასტაცეს 5 ცხენი და ერთს ფშაველის დედაკაცს ახსნეს გულის სამკაული. ბოქაულსაც ეს უნდოდა. მაშინათვე აფრინა ერთი კაცი თიანეთში მაზრის უფროსთან—არიქა გვიშველეთ, ყაჩაღები ამოწყვეტას გვიპირობენ: გაიტაცეს 15 ცხენი და 18 დედაკაცი გაცარცვესო. მეორე კაცი ქ. დუშეთში აფრინა ბოქაულ ოზიაშვილთან: მოგვეშველე, ყაჩაღებმა გზა შეგვიკრეს, ლამის არის ამოგვწყვიტონო. მეორე დღეს მოვიდა ბოქაული ოზიაშვილი 3—4 სტრაჟნიკით, მობრძანდა მაზრის უფროსი ყარალაშვილი 15 სტრაჟნიკით. 7—8 წელიწადი იქნება რაც ბ-ნი ყარალაშვილი მაზრის უფროსად არის და ეს პირველი მოსვლა იყო მისი ამ კუთხეში. მოსვლის უმალ შეუდგნენ ხევსურების დასჯას. 70 კაცამდე ფშაველი სტრაჟნიკებთან ერთად მიუსიეს ხევსურების სოფელს დათვისს, საიდანაც არის გასული ორი ყაჩაღი. ჯერ ცხენებს ამოაგდებინეს მზად შემოსული მთელი სოფლის ჰირნახული, მერმე შეესივნენ სოფელს, დაუწყეს ხალხს უწყალოდ ცემა. დაუკლეს 3 თუ 4 ძროხა. სახლებიდგან გამოჰქონდათ ერბო, რაც უნდოდათ სჭამდნენ, რაც არა და ღვრიდნენ. როდესაც ამითი ვერას გახდნენ და ყაჩაღები ვერ დაიჭირეს, დაირეკეს სოფლის 40 მეწველი ძროხა და 10—15 შესაბამი საქონელი. მორეკეს სოფ. მაღაროსკარში. ბოქაულმა მიუჩინა ძროხებს მწველავად თავისი ნათლიდედა.

ეს მესამე კვირაა იწველება ეს აუარებელი მეწველი საქონელი და ალლახმა უწყის ვინა ხარობს ერბო-ყველით. ეს კია, რომ ხანდისხან ქილებით დატვირთული ცხენები იგზავნება სოფელ თიანეთში“.

როგორ მოგწონთ? ის პირები, რომელთაც მთავრობისაგან ჩაბარებული აქვთ მთელი მაზრა მოსავლელად და წესიერების დასაცავად, ასე არბევენ, ტაციობენ და იკლებენ უპატრონო სოფლებს. რა პრესტიჟი უნდა შერჩეს მთავრობას იმ ხალხის თვალში, რომელსაც დღეს ყოველგვარი მსხვერპლი გამოაქვს, კაცით თუ ქონებით და რომელიც, დახმარების მაგიერ ხედავს, რომ მთავრობის კაცები მას არბევენ და იკლებენ, როგორც თავზედ ხელაღებული ყაჩაღები. ნუ თუ სამართალი არ არის, რომ თბილისის გუბერნატორმა და მეფის ნაცვლის კანცელარიამ ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, მოახდინონ საგანგებო გამოძიება და დამნაშავენი შეუბრალებლად დასაჯონ.

თუ გამოძიება ფიცხლად არ მოხდა, მალე ხევსურეთში მიმავალი გზებიც შეიკვრება და მაშინ ნახეთ თუ რა თავისუფლად იპარპაშებს ამ ვაჟბატონთა ბოროტმოქმედება, ჩაკეტილსა და მთელ ქვეყნას მოწყვეტილ ხევსურეთში!! საჭიროა, გამოსაძიებლად გაგზავნილი მოხელე შიგ ხევსურეთს ავიდეს და შუა გზიდან არ დაბრუნდეს, როგორც ეს ამას წინად მომხდარა, როგორც ამავე კორესპონდენციის ავტორი გვატყობინებს:

„როგორც ეხსომებათ მკითხველებს, გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ხევსურების ჩივილი. მთავრობამ თითქოს ყურადღება მიაქცია. დანიშნა გამოძიება. თბილისიდან თიანეთში მოვიდა საგანგებოდ დანიშნული კაცი, გამომძიებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოძიებით არაფერი არ გამოუძიებია. თიანეთი ხევსურეთში ეგონა და როდესაც გაიგო, რომ ხევსურეთამდე 60 ვერსი იქნება და ისიც ცხენით სასიარულო, უკანვე დაბრუნდა, მხოლოდ განაცხადა, რომ ამ ზაფხულს მთავრობას საგანგებო გამომძიებელს გამოაგზავნინებდა ხევსურეთში. ზაფხული გადის. საცაა ხევსურეთში მიმავალი გზა შეიკვრება და გამომძიებელი არსადა სჩანს“.

მთავრობა ვალდებულია თავის დაყენებული მოხელეებისაგან მაინც დაიცვას სოფლის გაჭირვებული და უმწეო ხალხი!

## თურქესტანი

ამ ორიოდე დღის წინად მთელ თურქესტანში სამხედრო წესები გამოაცხადეს. ოფიციალი ცნობა არ ყოფილა, თუ რა იყო მიზეზი ასეთი მკაცრი ზომების მიღებისა იმ ქვეყანაში, რომელსაც წყნარი და უშფოთველი ცხოვრება უყვარდა. არც ეს მიზეზები დაიმალება დიდხანს; ეხლა კი ამ უჩვეულო შემთხვევის გამო ჩვენს მკითხველებს მოკლე სიტყვას ჩამოუგდებთ, თუ რას წარმოადგენს ეს თურქესტანი, სად მდებარეობს იგი, რამდენი სივრცე უჭირავს, რამდენია მცხოვრები და რით ირჩენენ თავს.

თურქესტანი მდებარეობს კასპიის იქითა მხარეს, აღმოსავლეთის მხრით იგი ეკვრის ჩინეთს, ხოლო სამხრეთის მხრივ სპარსეთსა და ავღანისტანს. მთელი ეს მხარე დაყოფილია ხუთ საადმინისტრაციო ოლქად. ამ ოლქების სახელებია. იქითა კასპიის ოლქი, სამარყანდი, ფერგანი, სირ-დარია და შვიდწყალა. თურქესტანის სივრცე ერთ მილიონ ნახევარ კვადრატიულ ვერსზე ცოტა ნაკლებია. შედარებით რომ ვილაპარაკოთ, ერთი თურქესტანი უდრის ერთად საფრანგეთს, გერმანეთს და ავსტრო-უნგრეთს. მცხოვრებთა რიცხვი აღწევს 5 მილიონ სამას ათასს. მოსახლეობის სიხშირე ორთა შუა რიცხვით ასეთია: კვადრატიულ ვერსზე მოდის სამ ნახევარი კაცი. მხოლოდ ოლქობრივ რომ გავსაჯოთ, დავინახავთ რომ ზოგ ადგილას ერთი კაცი მოდის 24 კვადრატიულ ვერსზე, ზოგ ადგილას ერთ კვადრატიულ ვერსზე 135 კაცი, (მაგ. ფერგანის ზოგიერთ ადგილებში,) ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ინგლისში: ეს დამოკიდებულია გეოგრაფიულ მდებარეობასა და ფიზიკურ ბუნებაზე. უწყლოსა და უდაბნო ადგილებში მცხოვრებნი ან სრულებით არ არიან ან და გაბნეულ ოაზისების გარშემო იყრიან თავს. ხოლო წყლიანსა და ნოყიერ ადგილებში ხალხი უფრო სქლად მოსახლეობს.

თურქესტანის მთელი სამი მეოთხედი ვაკე ადგილს უჭირავს. ბევრ ადგილას ეს ვაკე ზღვის ზედა პირზე უფრო დაბლაა დაცემული და ნამდვილ ქვაბულებს წარმოადგენს. მთელი ეს ვაკე, რომელიც ერთდროს ვეებერთელა ზღვის ფსკერი იყო, უდაბური და უსიცოცხლო ბუნების პატრონია. თვალუწვდენი სივრცენი თიხისა და ქვიშისაგან შესდგებიან და და დიდძალ მარილს შეიცავენ. ზაფხულის მხურვალე მზე სულ ერთიანად სწვავს და ხრუკავს მცენარეულობის ჩანასახს, ასე რომ მთელი ათასი ვერსის სივრცეზე მარტოკა გადახრუკული ანწლიკის ბუჩქები მოსჩანს და სხვა არაფერი.

ეს ვაკე შემორტყმულია მთაგორიან ადგილებით. მაღლობები იწყება თვით კასპიის ზღვასთან და შიგ აზიის ხმელეთის სიღრმეში შეიჭრება. ადგილ-ადგილ ეს მაღლობები პირდაპირ მთის ქედებს წარმოადგენენ, რომლის ძირობებში მთიდან ჩამონაწურ სისველისა და წყლის წყალობით მშვენიერი ნოყიერი ადგილებია. გაშლილი. ამ ძირობებში სიცოცხლე ჰყავის, მცენარეულობა და ცხოველთა სამეფო ხალისით გამოიყურება. ამის წყალობით მცხოვრებნიც აქ შექუჩულან.

ჰავა მეტის მეტად კონტინენტურია, ზაფხული მეტად ცხელი იცის და ზამთარი ცივი. მხოლოდ მთის კალთებზე, ქედებზე და ოაზისების გარშემო ჰავა უფრო შენელებულია, ისეთი დიდი განსხვავება არ არის ზამთარსა და ზაფხულ შორის.

ეთნოგრაფიულის მხრით, თურქესტანის მცხოვრებნი საკმაო ერთფეროვნებას წარმოადგენენ. მთელი თურქესტანის ხალხი ორ რასისაგან შესდგება, ერთია თურქ-მონღოლთა რასა და მეორე ინდო-ევროპიელთა. მცხოვრებთა უმრავლესი ნაწილი პირველ რასას ეკუთვნის, ამათ უჭირავთ უმთავრესად ვაკე და მთაგორიანი ადგილების ერთი ნაწილიც. თურქ-მონღოლთა რასის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი წარმომადგენელები ყირღიზები არიან, რომელნიც შეადგენენ მთელ მცხოვრებთა 36%. ესენი უფრო მწყემსობასა და მეჯოგეობას ეწევიან და ერთ ადგილზე არ ჩერდებიან. მხოლოდ იშვიათ ადგილებში, სადაც მიწადმოქმედობისთვის განსკუთრებით ხელსაყრელი პირობებია, იქ მიწის მუშაობასაც ადგანან.

ყირღიზების შემდეგ ამ რასის წარმომადგენელებად ითვლებიან თურქმენები, ესენიც მეჯოგეობას ეწევიან. თურქ-მონღოლთა ხალხებს ეკუთვნიან უზბექები და ყიპჩაკები, ესენი შეადგენენ 19%. ყირღიზების შემდეგ ყველაზედ უფრო მრავალრიცხოვანია სართები; ესენი მცხოვრებთა 24 პროცენტს შეადგენენ. სართები წარმოსდგებიან არიელებისა და თურქ-მონღოლთა შერევისაგან. სართები მართლაც ძალიან მიაგვანან ირანელებსდა უმთავრესად ქალაქებსა და დაბებში სცხოვრობენ. მეტად მოძრავი, მომქმედი და ხალისიანი ხალხია და ვაჭრობის დიდ უნარს იჩენენ.

ძირითადი მკვიდრი თურქესტანისა, ძალიან ცოტა დარჩა, სულ რაღაც $2^1/_2$ პროცენტი და ცნობილია ტაჯიკების

სახელით. დანარჩენი მცხოვრები ვინ ჩინეთიდან გადმოსულა ამ ბოლო ხანებში და ვინ კიდევ საიდან.

რაც შეეხება რუსებს, ამათი რიცხვი 230.000 არ აღემატება! რუსობა გაბნეულია სხვა და სხვა ოლქებში. რუსები წარმოადგენენ უმთავრესად მოხელეთა და ინტელიგენტთა ჯგუფს, ზოგ ალაგას კიდევ ჯგუფად მოსახლე რუსობა ხვნა-თესვას ეწევა.

სარწმუნოებით თურქესტანის მცხოვრებთა 95⁰/₀ მაჰმადის რჯულის აღმსარებელია. არსებობის უმთავრეს წყაროს მეჯოგეობა შეადგენს, შემდეგ მიწად-მოქმედება, აღებ-მიცემობა ძალიან ნაკლებად არის განვითარებული.

მიწად-მოქმედებას მისდევენ მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც მორწყვის საშუალება არის. სარწყავი ადგილების რაოდენობა ძალიან მცირეა, მთელი თურქესტანის სივრცესთან შედარებით, იგი 1,5⁰/₀ შეადგენს. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ბრინჯი, ფშვრია, ფეტვი და რამდენიმეთ სიმინდიც. ამ უკანასკნელ დროს სიმინდის კულტურა თანდათან მატულობს. ბამბის მოსავალს საპატიო ადგილი უჭირავს. ყოველ წლივ დაახლოვებით 15—25 მილიონისა იყიდება.

რაც შეეხება მესაქონლეობას, უმთავრესი ყურადღება მიქცეულია თხასა და ცხვარზე, ცხენებსა და სახედრებზე, სხვილფეხა საქონელზე და აქლემებზე.

მცხოვრებნი ეწევიან შინა მრეწველობასაც. ქეჩა, ნოხი და სხვა და სხვა ჩოხა მათი ხელსაქმის ჩვეულებრივი პროდუქტია.

გზები და მიმოსვლის საშუალება მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. მოგზაურობა ამ მხარეში, პირდაპირ სახიფათო იყო. რუსებმა რკინის გზის გაყვანა იმიერ კასპიის ოლქში პირველად 1880 წ. დაიწყეს, 1886 წელს ეს გზა მერვამდე და ამუდარიამდე მოიყვანეს, 1888 წელს სამარყანდამდე. თან და თან რკინისგზამ ტაშკენტამდე მიაღწია. მერვიდან რკინის გზის ერთი შტო ავღანისტანის საზღვრამდეც მიიყვანეს.

საკრედიტო დაწესებულებიდან არსებობს რამდენიმე განყოფილება სახელმწიფო და კერძო კომერციული ბანკებისა და შუააზიის კომერციული ბანკი ქ. ტაშკენტში. როგორც საკრედიტო დაწესებულება ყველაზედ უფრო საინტერესოა სამაზრო შემნახველ-გამსესხებელი კასები, რომელიც განსაკუთრებით ადგილობრივ მკვიდრებისთვის არის დაარსებული.

სახალხო პირველ დაწყებითი განათლება ადგილობრივ მუსულმანურ სამღვდელოების ხელშია და ამ მხრივ თურქესტანი სხვა სამუსულმანო ქვეყნებისაგან არაფრით არ განირჩევა. განათლების საძირკვლად როგორც დაბალ სასულიერო, ისე საშუალო სასულიერო სკოლებში არის ყურანი და სხვა არაბული სამღვთო წიგნები.

რუსეთის თურქესტანის ოთხ ოლქში 1829 წლის ანგარიშით იყო 6430 მუსულმანური სკოლა სადაც სწავლობდა 95,000 მოწაფე. მუსულმანურ განათლების ცენტრად ითვლება ბუხარა, სამარყანდი და ტაშკენტი. რუსული სკოლა მთელ თურქესტანში ამავე წლის აწერილობის აღემატებოდა 449, აქედან 13 საშუალო სკოლა იყო. მოწაფეთა რიცხვი უდრიდა 12,500.

საზოგადოებრივი და გონებრივი ცხოვრება მეტად მოდუნებულია და რაც არის ისიც რუსის მოხელეთა და ინტელიგენტთა წრეშია.

ურთიერთობა რუსეთსა და თურქესტან შორის მე-VII—X საუკუნიდან მომდინარეობს. მე-XIII საუკუნეში რუსეთში მონღოლთა ბატონობის დამკვიდრების წყალობით, თურქესტანის და რუსეთის ურთიერთობამ უფრო მჭიდრო ხასიათი მიიღო. მე-XVII საუკუნეში მოსკოვის მთავრობა თავის ელჩებს გზავნიდა ხივასა და ბუხარაში. პეტრე დიდის ექსპედიცია მარცხით დამთავრდა 1717 წ. რუსებმა შედარებით წყნარად და უბრძოლველად დაამკვიდრეს თავიანთი ბატონობა ყირღიზთა ქვეყანაში; აჯანყება მოხდა მხოლოდ ამ ქვეყნის დასავლეთ მხარეში, სადაც სულთანი კენისარე ჩაუდგა სათავეში იარაღასხმულ ხალხს (1836—1845 წწ.). 1853 წ. რუსებმა აიღეს აქმეჩეთის ციხე, 1860 წ. ტოკმაკი, პიშპეკი და მთელი შვიდწყალას ოლქი. 1864 წ. აიღეს აულიეთი და ჩიმკენთი. ამავე წელს სცადეს ტაშკენტის აღება, მაგრამ ეს ცდა მარცხით გათავდა. შემდეგ 1865 წ. გენერალმა ჩერნიაევმა ტაშკენტიც აიღო. 1866 წელს რუსებს ბუხარის ემირთან შეიარაღებული შეტაკება მოუვიდათ. ბუხარელები დამარცხდნენ და რუსებმა დაიპყრეს ბუხარის ერთი ნაწილი. ბუხარასთან შეტაკება განახლდა 1867 და 1868 წელს, რასაც შედეგად მოჰყვა რუსებისაგან კიდევ ახალი ტერიტორიის დაპყრობა და სამარყანდის აღება. შემდეგ 1873 წელს რუსეთი იარაღით გავიდა ხივის სახანოს წინააღმდეგ, აიღო ხივა და თვით ხანი ტახტიდან ჩამოაგდო, 1876 წელს დაპყრობილ იქნა კოკანდის სახანო.

აღმოსავლეთ თურქესტანის 1864 წ. დაწყებული დაპყრობა დამთავრდა 1876 წელს.

ასე სწრაფად მოხდა დაპყრობა თურქესტანის დასავლეთი ნაწილისა. ეს დაიწყო 1869-ში და დამთავრდა 1898 წელს.

შედარებით ადვილად რუსებმა დაიპყრეს მთელი თურქესტანი. ხშირად დიდი ქალაქები რუსის ჯარებს სულ ადვილად ნებდებოდნენ. ასე მაგალითად ტაშკენტი, სადაც 100 ათასი მცხოვრები იყო და რომელსაც ოცდაათი ათასი მეომარი 50 ზარბაზნით იცავდა, რუსის ორი-ათასი ჯარის კაცისაგან შემდგარმა და 12 ზარბაზნით შეიარაღებულმა რაზმა აიღო. ასე მოუვიდა ხივასაც, რომლის ორმოცი ათასიანი ლაშქარი დაამარცხა სამი ათასი კაცისაგან შემდგარმა რუსის რაზმა.

თურქესტანში არავითარი მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხება არ მომხდარა, მას შემდეგ, რაც იგი რუსეთის იმპერიის ფარგალში შევიდა და მთავრობასაც არ დასჭირებია არავითარი საგანგებო მკაცრი ზომების მიღება.

ეხლა კი, როგორც ვიცით, მთელ მხარეში სამხედრო წესები იქმნა გამოცხადებული და გენერალი კუროპატკინი რუსეთ-გერმანეთის ფრონტიდან პირდაპირ თურქესტანში გადაიყვანეს. სჩანს დრო და პირობები გამოცვლილა.

Pierre

# საქონლის რეკვიზიცია

მესამე წელიწადია, რაც უმაგალითო ომის მოწმენი ვართ. მესამე წელიწადია ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი, შეერთებული ძალით გულწრფელად და თავგამოდებით იბრძვის ბრძოლის ველზე. მიუხედავად მრავალი ცილისწამებისა, ქართველი ერი მაინც მზად არის ახალი მსხვერპლი შესწიროს ომის ღმერთს. თუ ერის საუკეთესო ძალა ბრძოლის ველზე სისხლად იცლება, შინ დარჩენილი დაობლებული ოჯახი ჰაპანსა სწევს, რომ ეკონომიურად დაცემულ სოფელს სიცოცხლის ძარღვის ცემა არ შეუჩერდეს და მით თვით სახელმწიფოს ტვირთი შეუმსუბუქოს. რა იქნება თვით ჯარის მდგომარეობა, რომ ძალა გამოცლილმა სოფელმა ვერ შესძლოს მიწის დამუშავება? ან ეს რომ არ იყოს, რა გულით უნდა იბრძოლოს ჯარმა, თუ ოჯახი შიმშილისაგან მაინც უზრუნველყოფილი არ ეყოლება? განა ვისი სარჩენი გახდება სოფელი, თუ იგი უსურსათოდ დარჩება? რასაკვირველია თვით მთავრობა მოვალეა უზრუნველ ჰყოს თავის ქვეშევრდომთა სვებედი.

თუ დღეს, ამ ძალთა მობილიზაციის დროს მშვიდობიან მცხოვრებთა ზრუნვაც თავს დაატყდა მთავრობას, მაშინ ხომ მისი ყურადღება ორ ნაწილად უნდა გაიყოს, რაც რომ მთავრობას და საზოგადოებას ზედმეტ ზრუნვას გაუჩენს.

აი, ყველა ეს კითხვა-პასუხი თვალწინ გვიდგება, ჩვენ სოფელს რომ თვალი გადავავლოთ. მას შემდეგ, რაც „ლურჯ ბილეთიანები“ და „წითელ-ბილეთიანები“ ჯარში გაიწვიეს და უმაღლესი ბრძანებით მათი გაწვევა ერთი თვით გადაიდო, არ გასულა სამი კვირა, რომ ჩვენს სოფელს ახალი უბედურება დაატყდა თავს. 25 მკათათვეს ქ. გორის მაზრაში საქონლის რეკვიზიცია დაიწყო. ეს მოვლენა ისეთი მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, რომ სოფელი სასოწარკვეთილებას მიეცა.

ლიახვის ხეობიდან ყველა სოფლებიდან საქონელი ქ. გორში გარეკეს (ხარ-კამეჩი).

სოფლად ეხლა დაიწყო მთელი ზამთრის სარჩო-საბადებლის შეგროვება, გახურებული კალოობა, და საკმარისი იყო იასაულის ბრძანება, ხარ-კამეჩი გორში გაერეკათ, რომ მოძრაობის ძარღვი შეჩერებულიყო. კალოებს, ხორბალს მინდორში მიანებეს თავი და გულდათუთქულნი, მოზღვავებული სოფლელნი ხარ-კამეჩთან ერთად გორს გაემგზავრნენ.

სოფლის მწუხარებას საზღვარი არა აქვს, და განა ესეც არ უნდა იყოს? ვინ არის მასაზრდოებელი თუ არა ხარი და ურემი? და ეს მისი განუყრელი მეგობარი სოფელს მაშინ მოსწყვიტეს, როდესაც სარჩო-საბადებელი მინდვრად აქვს გაღავებული.

ამბობენ, საქონელი გორში მხოლოდ შესამოწმებლად დაიბარესო. 20—40 ვერსის მანძილიდან ქ. გორში შესამოწმებლად საქონლის გარეკვა, განა ბოროტებად არ უნდა ჩაითვალოს? დღეს სოფლად კაცმა რომ გაიაროს, ვერც ერთ კაცს და ხარს ვერ დაინახავს ადამიანი. თითო სოფელი ყოველ დღე ას თუმნობით ზარალობს და ვინ იცის რამდენი დღე მოუხდებათ გორში ლოდინი?

მთელი მაზრა სამამასახლისოებათ იმისათვის არის დაყოფილი, რომ ამ გვარ შემთხვევაში ადგილობრივ ხდებოდეს საქმის მოგვარება და არა 40 ვერსის მანძილზე ირჩეოდეს ამ გვარი საქმე. ადგილობრივ საქმის მოგვარება კი უფრო აჳვილი და მოსახერხებელია, ვიდრე უცხო ადგილას.

იმედია სოფლის გასაჭირს ჯეროვან ყურადღებით მოეპყრობა, როგორც ქართული საზოგადოებები, აგრეთვე მთავრობაც. ძნელია სოფლის უსაქონლოდ არსებობა, მერე ისეთ დროს, როგორც ზაფხულია.

**ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მოვალეა ადგილობრივ მთავრობას ერთხელ მაინც გააცნოს ჩვენი სოფლის ბედი და სოფელი ამგვარ უადგილო საქონლის რეკვიზიციიდან იხსნას.**

სოფელს მივხედოთ, ვიდრე არ დაგვიანებულა.

ჩ. ჯაპანაძე.

# პოლონეთის პოლიტიკა

საზონოვის დათხოვის შემდეგ მთავრობამ უარჰყო გამოქვეყნება პოლონეთის ავტონომიის დებულებისა; მიზეზად აღიარეს პოლონეთის გერმანოფილობა (უფრო სწორედ ავსტროფილობა); შინაურ საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული მოხსენებაც კი შეადგინა, რომელშიაც მოყოლილია პოლონეთის პოლიტიკის გადახრა ავსტრია-გერმანეთისაკენ.

მოგვყავს შინაარსი ამ საგულისხმო მოხსენებისა „რუსკოე სლოვოს“ გადმოცემით (№ 160):

„ომის წინა დღეებში გალიციის პოლონეთში დაარსდა ორი „დიდი პოლონური ორგანიზაცია: „დროებითი კომისსია“ და „რადა ნაროდოვა“ (ე. ი. სახალხო საბჭო); დროებით „კომისიამ“ შეაერთა ყველა მემარცხენე პოლონური პარტიები ვიდრე სოციალისტებამდის. „კომისია“ ემხრობოდა ავსტრიასთან შეთანხმებას. „რადა ნაროდოვა“ კი შესდგებოდა რუსეთის მომხრე ზომიერ პარტიებისაგან.

„დროებითი კომისია“ აღიარებდა რომ პოლონელებს შეუძლიათ დაიხსნან თავი რუსის უღლისაგან და აღადგინონ თავისუფალი პოლონეთი მხოლოდ მაშინ, თუ გერმანეთის და ავსტრიის დახმარებით აუჯანყდებიან რუსეთსო. ამისათვის „კომისიას“ სურდა „რადა ნაროდოვასთან“ შეთანხმება, მაგრამ უკანასკნელი ბეჯითად იცავდა რუსოფილობას.

როცა ომი დაიწყო, მობილიზაციის გამო, ავსტრიაში მყოფი პოლონური „მსროლელი რაზმების“ წევრები ჯარში უნდა გაეწვიათ. მათს ბელადს პილსუდსკის შეეშინდა, ვაი თუ პოლონური რაზმელები ავსტრიის ჯარში გაითქვიფოსო და რომ დაესწრო, თავის პასუხისგებით შეჰკრიფა 400 რაზმელი და შეესია რუსეთის საზღვრებს. პილსუდსკის მოქმედება ძალიან ეწყინათ ზომიერ პარტიებს.

ამ დროს ვენაში მოხდა კონფერენცია პოლონეთის პოლიტიკურ ჯგუფთა. „რადა ნაროდოვის“ მაგიერ კრაკოვში დაარსეს ორგანო პოლონეთის დროებითი მთავრობისა, ეგრედ წოდებული „უმაღლესი ეროვნული კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს კრაკოვის ქალაქის თავი პროგრესისტი ლეო. ამ „ეროვნულ კომიტეტის“ არჩევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც უკიდურესმა, აგრეთვე ზომიერმა პარტიებმა, მათ შორის „რადა ნაროდოვამ“. მხოლოდ უკანასკნელი ისეთ უმცირესობას წარმოადგენდა, რომ იძულებული იყო ხელი აელო კომიტეტის დადგენილებათა შემუშავებაში. ამ დროს რუსის ჯარი კრაკოვს მიუახლოვდა და რუსეთის მომხრეთა მოქმედება გაძლიერდა; როგორც კი რუსებმა გალიციიდან დაიხიეს, ავსტრიელებმა დაიწყეს რუსოფილების შურისძიება და ერთ-ერთ სასჯელ ზომათ მიიღეს პოლონურ რაზმების გაუქმება; ასე იყო 1915 წლის შემოდგომამდის, როდესაც მოკავშირეთა წარმატების გამო ავსტრიის მთავრობამ გარდასწყვიტა პოლონელთა საბოლოო მიმხრობა; შეთანხმების მოწყობა მიენდო გალიციის მეფის მოადგილეს ბილინსკის.

1915 წლის დამლევში გერმანელებისგან დაპყრობილ რუსეთის პოლონეთში ისე გაძლიერდა ავსტრიელების ქადაგება, რომ ვარშავაში მოაწყვეს პოლონურ პოლიტიკურ პარტიების ყრილობა, რომელმაც მოწოდებით მიჰმართა ხალხს, შემოკრბეთ ეროვნულ კომიტეტის გარშემო და წინადადება მივცეთ ავსტრია-გერმანეთს გადასწყვიტოს საბოლოოდ პოლონეთის საკითხიო.

1916 წლის დასაწყისში ავსტრიის და გერმანეთის თანხმობით კრაკოვში მოხდა საერთო ყრილობა პოლონეთის სამივე ნაწილისაგან. ამ ყრილობას დაესწრნენ ყოფილ რუსეთის პოლონეთის წარმომადგენლები, სათათბიროს წევრები პარჩევსკი, ლემნიცკი და სხვა მოღვაწენი. ამ ყრილობაზედ ავსტრიის მთავრობის სახელით გრაფმა ტარნოვსკიმ განაცხადა: ავსტრია სრულებით თანახმაა შეაერთოს რუსეთის პოლონეთი და გალიცია ავსტრიის სკიპტრის ქვეშ; გერმანეთიც მომხრეა ამ აზრისა, მაგრამ პოზნანის მაგიერ მომავალ პოლონეთს მოუჭრის რუსეთის ზოგიერთ ადგილებს ზღვისკენ გამოსავალი გზითო. მთელი ყრილობა მიემხრო ამ წინადადებას და გადასწყვიტეს ეს დადგენილება ეცნობოთ რუსეთში მცხოვრებ პოლონელებისათვის, რათა მუდმივი კავშირი ჰქონოდათ მათთან მომავალ სრულიად პოლონელთა კონგრესამდის.

ტარნოვსკიმ აგრეთვე წინადადება მისცა მოეწყოთ საგანგებო ბიუროები სტოკჰოლმში, კოპენჰაგენში, ბუქარესტში და ლოზანნაში, რათა მათ ეცნობებინათ საქმის ვითარება საზღვარგარეთელ პოლონელებისათვის.

ამ ყრილობის შემდგომ ლოზანნაში მოუწყვიათ კერძო თათბირი პოლონურ მოღვაწეთა. მას დასწრებია დეპუტატი დმოვსკი, უწინ ცნობილი რუსოფილი; დმოვსკი მიჰმხრობია ავსტრია-გერმანეთის მომხრეთ და სიტყვაც მიუცია მათთვის სასარგებლოდ მოქმედებისა; ამისათვის დმოვსკის საგანგებო წერილი გაუგზავნია მოსკოვის პოლონურ კომიტეტში, სადაც მას დიდი ლაპარაკი გამოუწვევია; დმოვსკის მიმხრობია მისი მეგობარი თავ. ჩარტორიისკი, ხელმძღვანელი პოლონეთის ჯგუფისა გალიციის სეიმში.

გალიციელ და ვარშაველ პოლონელთა პოლიტიკის შეცვლას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთში მცხოვრებ პოლონელებზე, განსაკუთრებით ახალგაზდობაზე. ამ წლის მარტიდან მოსკოვის „დომ. პოლსკი“-ში და აგრეთვე გადმოხვეწილ პოლონელთა ცალკე კრებებზე უთათბირიათ ავსტრია-გერმანეთის წინადადებაზე და მოუსმენიათ სტოკჰოლმიდან საგანგებოდ ჩამოსული დელეგატებისთვის. რუსეთის პოლონელთა უმრავლესობა უკვე თანახმაა მიიღოს ეს წინადადება. მხოლოდ „ნაროდოვი დემოკრატები“ აგვიანებენ დანარჩენ პარტიების მხარის დაჭერას, სანამ ეს საკითხი არ გადასწყდება კრაკოვში ახლად მოწვეულ ყრილობაზე რუსეთის პოლონელთა დასწრებით.

ამგვარად, დაასკვნის შინაურ საქმეთა სამინისტრო, ავსტრია-გერმანეთმა მიაღწია თავის წადილს. ჯერ იყო და მათ ჩაშალეს პოლონელთა შეერთება რუსოფილური მიმართულებით, შემდეგ შემოიერთეს უმრავლესობა დამოუკიდებელ პოლონეთის აღდგენის გარშემო, ავსტრიის მფარველობით. და ბოლოს ისინი ემზადებიან ძირში ამოფხვრან ყოველივე თანაგრძნობა რუსეთისადმი თვით რუსეთის პოლონელებში“.

აი ეს მოხსენება გამოიყენეს საბუთად მინისტრთა საბჭოში, რათა უარეყოთ ავტონომიის გამოცხადება პოლონეთისათვის. პოლონურმა კოლომ საპასუხო განმარტება დასწერა, რათა დაემტკიცებინა პოლონელების ერთგულება რუსეთისადმი, მაგრამ მან ვერ გასჭრა.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ოსმალები შეტევას განაგრძობენ. სპარსეთში მათ აიძულეს რუსეთის ჯარი ხამადანი დაეცლევინებინათ. ეტყობა მოპირდაპირეს საკმაო ძალებისათვის მოუყრია თავი, რომ ასე გაბედულად უტევს. გარდა ამისა მათ ეს ორი დღეა განუწყვეტელი იერიშები მოაქვთ გიუმიშ-ხანით, თუ გავიხსენებთ საერთო ოპერაციის მსვლელობას, ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ რათ ამოირჩიეს სწორედ ეს ალაგი ოსმალებმა თავიანთ მარცხენა ფრთაზე საიერიშოთ და ან რა მიზანი აქვთ დასახული. როგორც ვიცით რუსეთის ჯარს, რომელიც მოქმედობს ერძინჯანიდან ტრაპიზონამდე, მთავარი საკვები გზა აქვს, ერთი ყარსიდან მიმავალი ერზერუმით ტრაპიზონში დიდი შარა გზა, მეორე კიდევ ჭოროხის ხეობა. თუ მუშ-ბითლისით წამოსული ოსმალოს ჯარი ემუქრება ჰასან-კალას და ჰყურს ეს მთავარი საკვები გზა რუსეთის ჯარს აქ გადაუჭრას, სამაგიეროთ გიუმიშ-ხანით განზრახვა აქვთ ჯერ ერთი გადასჭრან სოფ. ახმედიდან მიმავალი შარა გზა ერძინჯანისაკენ, მეორე კიდევ გაიჭრან ჭოროხის ხეობაში, რომ ეს მდინარე ჩაჰკეტონ. მიზანი მეტად აშკარაა და მისი განხორციელება ოსმალების საქმე არაა. თვით ოფიციალი დეპეშა ეს ორი დღეა გვატყობინებს, რომ მათი იერიშები ყოველთვის მათთვისვე საზარალოდ თავდება.

ყველამ კარგათ იცის, რომ საქმე გეგმის შეთხზვა არაა. კავკასიის ბრძოლის ველზე ომებს მეტად თავისებური ხასიათი აქვთ. მთათა-გორები ხელს უშლის ჯარს ერთი ხაზით გაიშალოს ისე, რომ ერთმანეთში კავშირი არ შესწყდეს. პირიქით, აქ ხშირად ერთი რომელიმე რაზმი სრულიად მოწყვეტილია დანარჩენებთან, ხშირად იძულებულია შეებას მოპირდაპირეს განმარტოებული, თითქმის მიტოვებული მთავარ ძალებისაგან. სწორედ ამ დროს ყველაფერი დამოკიდებულია სარდლის პირად თაოსნობაზე და მოხერხებაზე. ჯარების მიშველება ძნელია, დახმარებას მაგრე მალე ვერ მიიღებს, ასე რომ გამარჯვება სავსებით დამყარებულია პირადი ღირსებაზე და გამჭრიახობაზე. ოსმალეთის ჯარს სწორედ აფიცერთა კონტიგენტი არ უვარგა. ამ ორი წლის განმავლობაში არა ერთხელ დავრწმუნდით მათს მოუმზადებლობაში. მრავალი ტყვე აფიცერი, რომელიც სულ მცირე რაზმს მოჰყვება ხოლმე ამის დამამტკიცებელია. ასეთი მდგომარეობაა ახლაც. თუ მაინც და მაინც ოსმალებმა სერიოზულად განიზრახეს ამ გრანდიოზულ გეგმის შესრულება, ალბად მათ ხელმძღვანელობენ გერმანელები ან და საკმაო ჯარი ჩაურიეს ოსმალების ჯარს.

გუშინდელივე დეპეშით მთავარი შტაბი გვაცნობს რომ ვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. ნერის მიდამოებში რუსეთის ჯარს წინ წაუწევია. ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ რუსეთის ჯარმა წინ სვლა განაგრძო, უეჭველია დიდ გავლენას მოახდენს, როგორც მუშ-ბითლისის მიდამოებით ისევე ქამადანის მიმართულებით მომქმედ ოსმალეთის ჯარზე.

აღმოსავლეთ ასპარეზზე, როგორც გუშინდელ ნომერში ვსთქვით, რუსეთის ჯარმა ქ. სტანისლავოვი აიღო. არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი ამ ქალაქის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. გენ. ლეჩიცკიმ შეასრულა თავისი დანიშნულება. ღრმა სტრატეგიული შემოვლა მან მარჯვედ დააგვირგვინა და ამით შეძლება მისცა გენ. ბრუსილოვის ჯარს დაიწყოს ფართე ოპერაცია მთელ გალიციის წინააღმდეგ. სულ მოკლე ხანში მოწმენი გავხდებით დიდი ამბებისა. ავსტრიელების გაჩერება იმ ადგილებში, სადაც ეხლა ისინი სდგანან, ყოვლად შეუძლებელია უნდა ველოდოთ, რომ ძალიან მალე ისინი იმ ადგილს დასტოვებენ და პერემიშლის ხაზს შეაფარებენ თავს. თუ რასაკვირველია გერმანელებმა საპასუხო ოპერაცია არ გააჩაღეს პოლონეთის ასპარეზზე.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი,** 29 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე ლიუბაშოვ-სტობიროვ ზარეჩიეს მიდამოებში ბრძოლა არ შეწყვეტილა. მდ. სერეტზე ჩვენი ჯარი სასტიკ ბრძოლით წინ იწევს. მტერი დიდს წინააღმდეგობას გვიწევს და კონტრ-იერიშებს იგერიებს. მიუხედავათ ამისაგენ. სახაროვის მამაცმა ჯარმა რამდენიმე იერიშებით მტერი ამ მდინარის გარშემო მდებარე სოფლებიდან და ტყიდან გარეკა და ტროსტიანეცნესტროვცეს ხაზზე უმთავრესი სიმაღლეებს მიაღწია. ჩვენი ცხენოსანთა ერთი რაზმი მტრის ქვეითა ჯარს იერიშით ეკვეთა და მათი წინსვლა შეაჩერა. ამ მიდამოებში გენ. ეკკას მამაცმა ჯარმა 22-დან-28 მკათათვემდე ტყვედ წამოიყვანა 268 აფიცერი და 13,000 ჯარის კაცი. ამასგარდა დაჭრილ ტყვე ავსტრო-გერმანელთა რიცხვი შესდგება 1000 კაცისაგან. მხოლოდ ერთ დღეს — 28 მკათათვეს — ჩვენმა ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 2 შტაბ-აფიცერი და 104 ობერ-ოფიცერი და 4872 ჯარისკაცი. ტყვე ჯარისკაცთა ცნობით, ავსტრო გერმანელების ჯარის ზარალი მეტად დიდია. მონასტერჟისკო-ნიჟნიუვის რკინის გზის მიდამოებში ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს. ქვეითა ჯარის ერთმა პოლკმა სოფ. დუბენკას ჩრდილო-დასავლეთით მტერი ჭალებიდან გარეკა და ქ. მონასტერჟისკას სამხრეთ ნაწილში შეიჭრა. გამწვავებული ბრძოლა არ შეწყვეტილა. მოწინააღმდეგე, მეტს წილად გერმანელები, კონტრ იერიშებით სცდილობენ შეგვაჩერონ, მაგრამ ჩვენ მათ ყველგან ვიგერიებთ. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 2500 ჯარის კაცი და ავსტრიის პოლკის უმფროსი მთელი თავისი შტაბით. დასავლეთის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. ზოლოტაია ლიპის მარჯვენა ნაპირს მიუახლოვდა, ბრძოლით სოფ. ლაზარუვკა აიღო და 1000 ავსტრო-გერმანელი ტყვედ წამოიყვანა. ორენბურგის ყაზახთა ერთი პოლკი მტერს იერიშით ეკვეთა და ხელთ იგდო 200 ტყვე და 3 ტყვიისმფრქვეველი. გერმანელების პოლკი სოფ. ზადარუვსტან მდ. ზოლოტაია ლიპის მეორე ნაპირას გამოვიდა და იერიშებით გვეკვეთა; მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ და უკან დავახევინეთ. ჩვენი ჯარი მტერს უკან მისდევს. საერთო რიცხვი 26—27 მკათათვეს წამოყვანილ ტყვეებისა 5000 კაცს უდრის. სტანისლავოვის მიმართულებით ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთა მარიამპოლის სამხრეთით მდ. დნესტრს მიუახლოვდა. მდ. ბისტრიცის მარჯვენა ნაპირი აიღო და ხიდების აშენებას შეუდგა. ვორონტისა და შიბენის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა ვორონტისა და შიბენის ხაზზე რამდენიმე სიმაღლე აიღო.

**კავკასიის ასპარეზი.** კერასუნდის აღმოსავლეთის სანაპირო მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მელლეუ აიღო. გიუმიშხანეს დასავლეთით ოსმალების იერიშები მოვიგერიეთ. ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. ნერისთან და ბოკანის მიდამოებში ჩვენ მტერი დასავლეთისაკენ დავწიეთ.

**პეტროგრადი,** 29 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. ჩვენმა შეტევამ სერეტის მიდამოებში აიძულა მტერი გლადკი-ვოროხიოვკა-ცებროვის ბრძოლის ხაზზე დაწეულიყო. მონასტირჟისკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ძლიერ იერიშით მტერმა კოროპეტს სიმაგრეებს თავი მიანება. ჩვენმა ჯარმა მონასტირჟისკო აიღო. ერთმა ტყვიისმფრქვეველთა რაზმა, პორუჩიკ პლეშკოვის ხელმძღვანელობით მონასტირჟისკის დაქცეული ხიდი შეასწორა, გერმანელების მესამე სარეზერვო პოლკს ზურგით უქცია და რადგან ამ უკანასკნელმა მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჯავშნიან ტყვიისმფრქვეველთა მეოხებით იგი მთლად ამოსწყვიტა. ზოლოტაია ლიპის და ხოროჟანსკის შესართავთან ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა სოფ. უსტიე-ზელიონე აიღო და ბრძოლით სოფ. შენდეროვში შეიჭრა. ამგვარად აქ გენერ. შჩერბაჩოვის მამაცმა ჯარმა დიდად გაიმარჯვა. გენერ. ლეჩიცკის გმირმა ჯარმა 28 მკათათვეს, საღამოს 7 ს. და 45 წ. ქ. სტანისლავოვი ბრძოლით აიღო და ლტოლვილ მტერს გალიჩის მიმართულებით უკან მისდევს. სტანისლავოვში მტერმა წასვლისას რამდენიმე ნაღმი ააფეთქა. ჩვენი ჯარის შეტევამ აიძულა მტერი მდ. ბისტრიცის მარცხენა ნაპირი მიეტოვებინა. ჩვენ ამ ნაპირზე გავედით და მტერს თოფსა და ტყვიისმფრქვეველს უშენთ.

**კავკასიის ასპარეზი.** სპარსეთში ოსმალების შეტევამ ჩვენ ხამადანი მიგვატოვებინა.

**პარიზი,** 28 მკათათვე. საღამოს ოფიციალი ცნობა. მდ. სომმისა და ტიომონის სიმაგრეების მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ასპარეზზე დღემ მშვიდად ჩაიარა. უამინდობა ბრძოლის წარმოებას ხელს უშლის.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანელების ახალი „ცეპელინები“.**

ამერიკელ კორესპონდენტის სიტყვით, გერმანელებს ახალი ტიპის „ცეპელინების“ აშენება დაუწყიათ. ახალი „ცეპელინი“ ისეთი უშველებელი იქნება, რომ ეხლანდელი მასთან შედარებით სათამაშო ბურთს დაემსგავსებაო. თუ აქამდის ინგლისელებს „ცეპელინების“ თარეში არ აშინებდათ, ეხლა ისინი იძულებული იქნებიან გულ-ხელ დაკრეფით შეჰყურონ თავის საკუთარ მიწა-წყლის და ქალაქების განადგურებასაო.

**ვერდენის დაცვის მნიშვნელობა.**

ამ ბოლო დროს საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი და ზოგიერთი სამხედრო კრიტიკოსები დაბეჯითებით ურჩევდნენ საფრანგეთის ჯარების სარდალთ ბრძოლის რომელიმე ასპარეზზე გერმანელების წინააღმდეგ გრანდიოზული შეტევა დაეწყოთ და ამით ვერდენი გაენთავისუფლებინათ. მაგრამ ფრანგების სარდალნი ძველ გეგმას არა ჰღალატობენ და ვერდენის მიდამოებში მხოლოდ მოგერიებით უმკლავდებიან მტერს. გერმანელების გაშმაგებულმა იერიშებმა ეჭვს გარეშეა, მათ უფრო დიდი ზარალი მიაყენეს, ვიდრე ვერდენის დამცველებს და ფრანგების უფრო დიდმნიშვნელოვან შეტევის მომზადებას ხელი ვერ შეუშალეს. ეხლა, როდესაც გერმანელებმა ვერდენის გაშმაგებულ იერიშებით 5 თვის განმავლობაში თავისი უმთავრესი ძალები შეასუსტეს, გენ. ჟოფრმა იხელთა დრო და მთელ ასპარეზზე შეტევა დაიწყო. ამგვარად გერმანელების გეგმა, რომლითაც იგინი ჰფიქრობდნენ ვერდენის აღებით საფრანგეთის ჯარისთვის ბოლო მოეღოთ, ჩაიფუშა. ფრანგებმა მთელ ასპარეზზე დიდმნიშვნელოვანი ბრძოლა გააჩაღეს და ბრძოლის ინიციატივა ხელთ იგდეს.

**გერმანელების ზარალი სომმის მიდამოებში.**

სომმის მიდამოებში გერმანელები კვლავ თავგანწირვით იგერიებენ მოკავშირეთა იერიშებს. მოკავშირეთა არტილერია დიდს ზარალს აყენებს გერმანელებს: მაგ. ამ უკანასკნელ დღეების ბრძოლებში ბავარიის მე-14 პოლკის პირველი ბატალიონი სულ მთლად ამოწყვეტილა, მეორეს და მესამეს თავის შემადგენლობის ნახევარი დაუკარგავთ.

**ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ვენაში.**

დიპლომატიურ წრეებში ხმა დადის, რომ ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ვენას ეწვია და აზრადა აქვს აქტიური დახმარება სთხოვოს ავსტრო-გერმანელებსაო. როგორც სჩანს ბულგარელები მეტად შეუფიქრიანებია ჯერ ერთი რუმინეთის მუქარას და მეორე—მოკავშირეთა შეტევას სალონიკის ასპარეზზე.

**ჰინდენბურგი და კარლ-ფრანც-იოსები.**

როგორც გერმანეთიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს ფელდმარშალ ჰინდენბურგს დაკისრებული აქვს ჯარების ხელმძღვანელობა მთელ აღმოსავლეთ ასპარეზზე. გენ. ბოტმერის ჯარი კი გენ. პფლანცერ-ბალტინის ჯარითურთ ტახტის მემკვიდრის კარლ-ფრანც-იოსების ხელმძღვანელობით იმოქმედებს სამხრეთის ასპარეზზე.

# უკანასკნელი დეპეშები

**რუსეთის ასპარეზზე:** მდ. სტოხოდზე გენ. სახაროვის ჯარმა მტერს უკან დაახევინა და ლიუბაშოვის და სტობიხოვის მიმართულებით წინ წაიწია. გენ. ლეჩიცკის ჯარმა 22 მკათათვიდან 28 მკათათვემდე ტყვედ წამოიყვანა 268 აფიცერი და 13,000 ჯარისკაცი. საღამოს 7 ს. და 45 წ. გენ. ლეჩიცკის ჯარმა ბრძოლით ქ. სტანისლავოვი აიღო.

**კავკასიის ასპარეზზე:** სპარსეთში ოსმალების შეტევამ აიძულა რუსის ჯარი ქ. ხამადანი მიეტოვებინა. კარასუნდას მიმართულებით რუსებმა მეელლეუ აიღეს. ოსმალების იერიშები გიუმიშ-ხანის დასავლეთით რუსებმა მოიგერიეს.

**საფრანგეთის ასპარეზზე:** სომმის და ტიომონის სიმაგრეებთან საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ადგილებში დღემ მშვიდად ჩაიარა.

**ინგლისის ასპარეზზე:** პოზიერისა და ტრონის ტყის მიდამოებში გამწვავებული საარტილერიო ბრძოლაა. პოზიერის ჩრდილო-დასავლეთით ინგლისელებმა წინ წაიწიეს.

**იტალიის ასპარეზზე:** სენ-მიკელეს და სანტ-მარტინის მიდამოებში იტალიელებმა ქ. ბოსკინი აიღეს. ამ უკანასკნელ ბრძოლებში წამოყვანილ ტყვეთა საერთო რიცხვი 268 აფიცერს და 12072 ჯარისკაცისაგან შესდგება.

---

საბერძნეთის მთავრობამ ბულგარეთის და სერბეთის შუა დაბანაკებული თავისი ჯარი გადაიყვანა.

ბერძნები ირწმუნებიან, რომ გერმანეთმა მაკედონიის ბრძოლის ველზე ახალი ჯარი გადაიყვანაო და ამ ჯარის რიცხვი 150 ათას უდრისო. მეორე მხრით წინააღმდეგს იტყობინებიან: ვითომ ამ ასპარეზიდან გერმანეთს ჯარი გაჰყავდეს.

---

გაზეთი „ცაიტი“, რომელიც ვენაში გამოდის, შემდეგ ცნობას გადმოგვცემს: როგორც გაზეთი „ცინიკი“ გვატყობინებს, ცენტრალ სახელმწიფოების (გერმანეთ-ავსტრია-უნგრეთის) გარდაწყვეტილებას პოლონეთის შესახებ მალე სისრულეში მოიყვანენო. ეს ხმა დაფუძნებულია გერმანელების განცხადებაზე. ვლაცლავის გუბერნატორს ერთ პირისათვის, რომელსაც თურმე კონფერენციის მოწვევა ჰსურდა, განუცხადებია: ეგ კონფერენცია ორი კვირით გადასდეთ და ჩემგან ნებართვის აღება აღარ დაგჭირდებათო. ასევე უთქვამს ერთს ცენზორს: ორი კვირის შემდეგ თქვენი ცენზორი გეყოლებათო.

---

რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულობა კარგს შთაბეჭდილებას ახდენს, რომლის თანახმადაც იაპონია ხარბინ-შანგ-შუნის ნახევარ რკინის გზას ყიდულობსო.

---

„რუს. სლოვო“ იტყობინება: დეპუტატების ტეფკელევის და ჯაფაროვის თათბირზე მთავარი ყურადღება მიაქციეს თურქესტანიდან მოსულს ამბავს, რომელიც შეეხებოდა არა რუსთა სამუშაოდ ჯარში გაწვევას. თათბირზე როძიანკოს მიანდვეს ეთათბიროს გენ. კუროპატკინს, რომელიც ამ ჟამად თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას ასრულებს. კუროპატკინს განუცხადებია, რომ დეპუტატების მოსაზრებას მხედველობაში მივიღებო. გენ. კუროპატკინს თურქესტანში ფრიად მნიშვნელოვანი საქმე აქვს მინდობილი. კუროპატკინი ხანგრძლივად ესაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრს ხვოსტოვს თურქესტანის მართველობის შესახებ.

---

მოსკოვის გუბერნიაში სურსათსანოვაგის გამგეს გრუზინოვს უნახავს გრ. ბობრინსკი და მოუხსენებია: 15 მარიამობისთვემდე ჯარში გაწვევის ვადის გადადება საკმარისი არ არის, რომ მინდვრის ჰირნახული გლეხებმა დაიბინაონო. ბობრინსკი დასთანხმებია და უთქვამს, რომ სამინისტრო საბჭოს სხვა წევრნიც მომხრენი არიან ჯარში გაწვევის ვადა უფრო გაგრძელდეს, რათა მცხოვრებმა ჰირნახულის დაბინავება მოასწრონო.

---

დღევანდელ სურათებიან დამატებაში ბიძინა ოქროპირიძის სურათს შეცდომით რამდენიმე ნომერს აწერია: დაჭრილია, უნდა იყოს მოკლულია.

# ახალი ამბავი

◆ **სამხედრო ტაძარში.** გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. ქალაქი დღისით ალმებით მორთეს ხოლო საღამოთი გააჩირაღდნეს.

◆ **ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების წლის თავი.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 31 მკათათვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო.

◆ **სამოსწავლო ოლქის** უფროსი ნ. ი. რუდოლფი პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **მომხმარებელი ამხ.** თიანეთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს თბ. გუბერნატორის წინაშე სოფ. თიანეთში მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების შესახებ.

◆ **ბრძოლა სნეჭვო ავადმყოფობასთან.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ეხლავ დაწესდეს 3 ექიმის მორიგეობა ქალაქის გამგეობაში, სამ ეტლს მოუმატოს კიდევ ორი—სეჭვო ავადმყოფების გადასაყვანათ, სამ სადეზინფექციო რაზმს მოუმატოს კიდევ ორი, თვითეულ სასანიტარო ექიმს მოემატოს თანაშემწედ სასანიტარო ზედამხედველი, მოეწყოს საქალაქო საავადმყოფო ბევრ ავადმყოფების მისაღებად, გაიხსნას ქალაქის სხვა და სხვა უბანში უფასო საჩაიე, გააძლიეროს მეთვალყურეობა ბაზრობაზე და იმ სავაჭროებზე, სადაც სასმელებით და საჭმელებით ვაჭრობენ და კვირაში ორჯელ ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა მოახდინოს ქალაქის სასმელ წყლისა.

◆ **სასურსათო თათბირი.** ხვალ, 1 მარიამობისთვეს თბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დანიშნულია სხდომა თბ. საგუბერნიო სასურსათო თათბირისა.

◆ **სპარსეთის კონსული** კავკასიაში მ. მეხდი-ხან მოქარრამოდ-დოულე პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **რეკვიზიციის მოხსნა.** ქალაქის მოურავის მოადგილემ შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნატორის წინაშე რათა მოხსნილ იქმნეს რეკვიზიცია ქამოევის საელექტრონო სადგურის მოტორებისა, ვინაიდან ეს სადგური დიდუბის ქუჩებს და ამ ქუჩებზე არსებულ საავათმყოფოებს ანათებდაო.

◆ **ქალაქის მოურავებს** დეეგზავნათ მოწერილობა თბ. გუბერნატორისა. ამ მოწერილობით გუბერნატორი აცნობებს მათ რომ თანახმად ახლად გამოცემულ კანონისა, ხორცეულობის ხმარების შემცირების შესახებ, დახოცილ საქონლის რაოდენობა პარასკეობით, შაბათობით და კვირაობით ქალაქის თვითმართველობებმა უნდა წინასწარ შეიმუშავონ. ამის გამო გუბერნატორი ავალებს ეხლავ განიხილონ ქალაქის საბჭოების საგანგებო სხდომებზე საქონლის რაოდენობის ცნობები მცხოვრებთათვის ამ სამ დღის განმავლობაში და წარმოუდგინონ მას ეს ცნობები კავკასიის სასურსათო საქმის მთავარ რწმუნებულის საცნობათ.

◆ **წესიერი დასვენება.** მომავალ კვირაში თბ. ქალაქის საბჭო განიხილავს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ კანონს, რომლითაც კვირაობით აღკრძალულია საყასპობებში საქონლის ხოცვა მომუშავეთა დასასვენებლათ. ამავე კრებაზე შემუშავებულ იქმნება რაოდენობა საქონლისა რომელიც უნდა დაიკლას ხოლმე შაბათობით, კვირაობით და ორშაბათობით.

◆ **ქალაქის სავაჭრო** დუქნებიდან დღიდან დაარსებისა ამ დუქნებისა, გაუციათ შაქარი 402,250 სულისთვის.

◆ **შეშის ძიება.** ქალაქის სამეურნეო კომისიის დავალებით კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში გაემგზავრნენ ხმოსნები გ. ნ. კეილი და ა. გ. ჩერნიშევი, რომელთაც დავალებული აქვთ თუ რა ჯდება ადგილობრივ შეშა და მის გადმოტანა სადგურებთან და მერე ჩამოტანა თბილისში.

◆ **სააბრეშუმო სადგურის** მიერ შეკრებილ ცნობების თანახმად ნუხის მაზრაში ამჟამად აბრეშუმის თესლი ფუთი 38—43 მან. ფასობს, ევროპიული 36—41 მან. ხოლო იაპონური 18—22 მანეთი.

† **მიხეილ ნიკოლოზის ძე ვიზირიშვილი.** სამწუხარო ამბავი მოგვივიდა სოფ. ხოვლევიდან: მცირე ავადმყოფობის შემდეგ იქ გარდაცვლილა სოფლის მომამგე და ჩვენი გაზეთის თანამშრომელი თავ. მ. ნ. ვიზირიშვილი. განსვენებულის ნეშთს დღეს მიაბარებენ მიწას იმავე სოფლის სასაფლაოზე.

◆ **საცხოვრებელ ბინების** ქალაქის კომისიას დიდ ძალი საჩივრები მოაწყდა, როგორც სახლის პატრონებისაგან, ისე მდგმურებისაგან. ერთ სახლის პატრონს ვექილიც კი გამოეგზავნა. კომისიამ განიხილა საჩივრები, მეხუთე ხარკის ამკრებ ინსპექტორის ნაწილისა ესე იგი მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საპოლიციო უბნების მცხოვრებლებისა და მომეტებული ნაწილი საჩივრებისა მორიგებით გაათავა. კომისიის გადაწყვეტილებანი გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** გუშინ ბორჯომს გაემგზავრა.

◆ **საომარ საჭიროებისთვის** იღებენ ეკ. ივ. სარაჯიშვილის სახლს და თბილისის საკრებულოსას.

◆ **კონდუქტორი ქალები.** გუშინდლიდან თბ. ტრამვაიზე კონდუქტორმა ქალებმა დაიწყეს მუშაობა. ჯერჯერობით მუშაობს 10 ქალი.

◆ **სკოლა მეაბრეშუმეთათვის.** მიწათმოქმედების დეპარტამენტმა 7000 მანეთი გადასდო ს. ყარაიაზში, თბილისის მაზრა, სკოლის დასაარსებლად. ამ სკოლაში მომუშავეთ მინდვრის კულტურასა და მეაბრეშუმეობას შეასწავლიან.

◆ **საგლეხო ბანკში.** საგლეხო ბანკის კავკასიის განყოფილებაში უკვე გამოცხადებია საჯარო ვაჭრობით გასასყიდი მამულების სია თბ. გუბერნიაში. სულ გასასყიდად დანიშნულია 64 მამული. ამ რიცხვში გორის მაზრიდან 10 მამულია, სიღნაღისა—3, თელავისა 1 და დუშეთისა—1, დანარჩენი მამულები ბორჩალოს მაზრაშია. საჯარო ვაჭრობის პირველი დღე მიმდინარე წლის 1 ნოემბერსაა დანიშნული, ბანკის სადგომში დღის 12 საათზე. თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგა მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იმავე თვის 22 რიცხვში შესდგება.

◆ **ღონისძიებანი ხოლერის წინააღმდეგ.** გუშინ, 29 ამა თვეს, ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. პ. მ. არღუთინსკიმ შემდეგი განკარგულება მოახდინა: 1) განუწყვეტლივ (დღე და ღამის განმავლობაში) დაწესდეს მორიგეობა ქალაქის გამგეობაში სანიტარ ექიმებისა, რომელნიც ვალდებული არიან სასწრაფო დახმარება აღმოუჩინონ, თუ ვინმე ხოლერის ნიშნებით გახდება ავად; 2) უნდა გაიხსნას უსასყიდლო საჩაიები ქალაქის სხვა და სხვა უბნებში; 3) უნდა გამრავლდეს რიცხვი ეტლებისა ავადმყოფთა წასაყვანად საავადმყოფოში; 4) უნდა გამრავლდეს რიცხვი სანიტარებისა და სხ.

◆ **ილიასეული მამული.** გუშინ და დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა ჩაებარებინა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის ილია-სეული საიჯარო მამული, საგურამოში მთელი მოძრავი ქონება, მაგრამ დიდი წვიმების გამო ამ საზოგადოებათა წარმომადგენელნი ვეღარ წავიდნენ საგურამოში და მამულის ჩაბარება სხვა დროისთვის გადაიდო.

◆ **შიო მღვიმელის ნაწერები** უკვე საბოლოოდ გამოისყიდა ბ-ნ ოცხელისაგან ქართ. კულტ. მოყ. საზოგადოების თავმჯდომარემ გ. თ. ჟორდანიამ. ეს საზოგადოება რამდენიმე ხნის განმავლობაში შეუდგება აღნიშნულ ნაწერების გამოცემას.

◆ **ბელგიელები ჭიათურაში.** ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტის პროფესორი ბიქტორ ბრიენი ბელგიის სამთამადნო ორგანიზაციის მხრივ გამოგზავნილია კავკასიაში ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის გასაცნობათ. გარდა ჭიათურისა ბრიენს დავალებული აქვს სხვა დანარჩენი სამთო-სამრეწველოები და ქარხნები კავკასიაში.

◆ **კოოპერატიული სასადილო.** ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას კოოპერატიული სასადილო, რომელიც არსდება კავკასიელ ქალთა საზოგადოების ზოგიერთი წევრთა თაოსნობით. სასადილოში 300-მდე წევრია ჩაწერილი და კიდევ ბევრი ეწერება. ბინა სასადილოსათვის დაქირავებულია ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ, მირიმანოვის სახლებში.

◆ **გუბერნატორის წინადადების განხილვა.** ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას გამოარკვიოს რაოდენობა დასაკლავ საქონლისა 3 ხსნილი დღის საჭიროებისათვის. ამ საკითხის გამოსარკვევად ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება უნდა მოხდეს მარიამობისთვის პირველ რიცხვებში.

◆ **კავკასიის მთავარმა კომიტეტმა,** რომელიც ომიანობისაგან დაზარალებულთა სვე-ბედზე ზრუნავს, თავის საქმეების გამგედ აირჩია თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე უკვე დაამტკიცა. მეფის ნაცვლის თანაშემწემ. როგორც ვაცით, ამ კომიტეტის გამგედ წინად იმყოფებოდა სახელმწიფო საადგილმამულო ბანკის თბილისის განყოფილების გამგე ბატონი პავლოვი, რომელიც თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა.

# ჩვენი ვაჟა

ფასანაურში, სასტუმრო „ფრანციას“ ბაღში ვნახე დატყვევებული ორი თვის არწივი. გოროზი, აქოჩრილი კისერი, ნისკარტ დაღებული და თვალებით მობრიალე, იგი ერთგვარს მუქარას მითვლიდა. უნებურად გეცინებათ ტყვის ასეთს ზვიადობაზე, მით უმეტეს, როდესაც უნდილ კლანჭებსაც შეამჩნევთ თქვენსკენ მომარჯვებულს.

იმავე ფასანაურში ვნახე სამხედრო გზა, გამწკრივებული ურმებით. მოხევენი საზრდოს ეზიდებოდნენ ბარიდან მთაში. გამოქროლილ ავტომობილის ყვირილმა ოდნავაც არ შეაშფოთა ბელადი მეურმე, გზა არ აუქცევია, რის გამოც დაიმსახურა გინება, როგორც შოფერისა, ისე შიგ მჯდომარე უცხოელის. მოხევეს მაინც წარბი არ შეუკვრია, მხოლოდ როდესაც ავტომობილმა გაჰქროლა, მან ჩიბუხი გამოიღო და შორს გადაკარგულს მიაძახა:

— ავილილმეც ვნახეთ და ჩამოვლილი კი არა...

ვნახე საწყალი... მაგრამ ჩამოთვლა რადღა გვჭირს? საკმარისია ბარიდან მთისკენ გადასდგათ ნაბიჯი, რომ ყოველისფერში, ყველგან და ყოველგან პროტესტი დაინახოთ. მთა თავის მწვერვალებით, გადმოკიდულ ფრიალოთა ჯანყებით, ფრთა მომარჯვებულ არწივებით, თვით ტყვედ ქმნილ მართვებით, სულიერი თუ უსულო საგნებით, თუნდა თვით სამხედრო გზაზე გადმოკიდულ ნაპრალების წვერებით, რასაც შეძრწუნებულ უცხო მგზავრებს „ღმერთო, მშვიდობით გაგვიყვანე“-ს კლდე-გზა უწოდეს, განხორციელებული პროტესტია, პროტესტია ულმობელ ბედისწერისა, პროტესტი უსამართლობისა, ძონობის წინააღმდეგ.

მთამ ბარზე ხანგრძლივად შეინახა ისტორიულ უსამართლობის გულის ჰრილობა. მთაში გავლამ, მთაში მცირედი ხნით ცხოვრებამ განმიბნია ფანტასტიური წარმოდგენანი მთიელთა შესახებ და ამახსნევინა მრავალი გამოცანა, მრავალი საიდუმლო, რომელთა ახსნას მწიგნობრულ კარაბადინთა მასალებით ვცდილობდი ხოლმე.

მრავალ საიდუმლოთა შორის უთუოდ რომ ვაჟაც ერია. მაგრამ ეხლა მივხვდი, რომ ვაჟას ფოლადი მელოდია გამოძახილია თვით ზუმბერაზ გრეხილის ვაებისა. მისი პოეზიის გაკაპასებული ფარხმალის ჩხარუნი სწორედ ტყვედქმნილი მართვის კაპასობა და მოელვარე ნისკარტის კაპა-კუპია. ვაჟა სულით და ხორცით აღმოხეთქილი პროტესტი, პროტესტია ტიტანი მთების. მთამ მისცა მას ის ველური, მაგრამ ყოველთვის მიმზიდველი ფერადები, რომლითაც მის კურთხეულ ჩოგანს ერთის დარტყმით გადმოუცია, როგორც პიტალო მარმარილოს ნატეხები. აი, ამიტომ არის, რომ

„იმან არ უწყის სიბერე,
არც მომაკვდავად სწერია!“

როგორც მთის ძუძუთი ნაზარდი ტრიბუნი, ვაჟა შეუდრეკელია, შეურიგებელი და მტერი იმისა,

„ვისაც დღესნამდე მტერობდა“.

„რკინის მკვნეტელი“ რაინდი ვაჟა ჩვენი აჯანყებულ ანგელოზს დაემგზავსა, რომელიც თვით ზეცასაც კი ბრძოლას უცხადებდა:

„დამსეტყვე ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემი თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა;
რაც უნდა ჰირი მომკერძო
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა...
მტერი ვარ, მტერი იმისა,
ვისაც დღესნამდე ვმტერობდი,
იგივე მიყვარს, იგივე,
ვისაც ამ სოფლად ვმოყვრობდი“..

ვის ეკეკლუცება ვაჟა თუ არა სამშობლოს თვისსა? ვინაა ეს ტურფა მიჯნური, ვისთვისაც ცის ლახტის ტლაშუნს ასე თამამად იტანს თავზე? ვინ გაჰხადა ასეთი ზვიადი? ვინ აღმოაჩენინა ჰომიროსისთვის სანატრელი გმირი ლუხუმები, რკინის გულიანი გოგოთურ-აფშინები? ვინ და ისევ მთამ, რამ და ისევ იმავე მთის მრისხანე რაინდების აჩრდილებმა, რომელთა შესახებ ძველთაგანვე თქმულა:

„ვაჟკაცნო დიდი მთებისა,
ომის ღმერთებად ხმობილნო“...

და ვაჟაც ერთი ასეთი „ომის ღმერთთაგანი“ თავის გმირების გვერდით მოგვიხმობს და ანდერძად გვაძლევს:

„წადით, უმტვრიეთ შავბნელ მტერს
სახლის და ციხის კარები,
ცეცხლი მიეცით საძოვარს,
ცასა სწვდებოდეს ალები“...

რად და რისთვის? რა თქმა უნდა, ბახტრიონის წამოსაქცევად, ტყვედ ქმნილ ასულის გასანთავისუფლებლად, დღეს მითიურ სახელწოდებად დარჩენილ ოდესღაც ყოფილ საქართველოს აჩრდილის აღსადგენად..

ვაჟამ მთის გრძნეულება მოიხმარა, დაჭრილ არწივთა სისხლით მოჰლესა საოცარი ბალღამი, აავსო მით მთის ხელით გამოწვდილი ფიალა, შეჰსვა, ჩვენც მოგვაწოდა გამოსაცლელად, რომ განვიკურნოთ, გააჩრდილებულებმა მოვიცეთ ძალა, აღვდგეთ, გავმხნევდეთ, ხალისიანად გავჰბუკდეთ, რომ ვაჟას მხედრებსავით არაგვის მრისხანე ქუხილს შევუერთოთ ჩვენი სიმღერაც:

„ნეტავღა გაზრდის მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?“

**დ. კ—ძე.**

# ვახტანგ-მეფის საფლავი ასტრახანში

თუ ერის უბედობა რითმე განიზომება,—ყურადსაღებია უცხოეთში გადაკარგულ მეფეთა საფლავებიც.

ქართული ნეკროპოლები მრავალია უცხო მხარეში: რუსეთ-სპარსეთ-ოსმალეთში—ყველგან მარხიან წელგაწყვეტილ საქართველოს მეფენი, რომელთაც უბედობამ არგუნა მტერ-მოყვარე მეზობელთა კარზე წრიალი.

რუსეთის მიწაში მარხია მეფე ირაკლის სახელოვანი წინამორბედი—ვახტანგ VI, **გამგე** ქართლის ბედისა, მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში (1703—1724), როდესაც ქართული სახელმწიფოებრივობის დაშლით შეწუხებული ბაგრატოვანნი ცდილობდენ, ეანდერძებიათ ჩამომავალთათვის კულტურულად მაინც ძლიერი და თვითმყოფი სახე საქართველოსი.

ვახტანგ მეფემ შეჰმატა ქართულ კულტურას ისეთი განძეული, როგორიცაა მისი სახელით მონათლული „კანონთ კრებული“; შევსებული „ქართლის ცხოვრება“, [illegible]ბულებანი ქართული სახელმწიფო ადმინისტრატიულ და ფინანსიურ უფლებათა—„დასტურლამალი“.

მაგრამ პოლიტიკაში ვახტანგი უბედო იყო; პეტრე დიდის კასპისკენ გამოლაშქრებით მოტყუებულმა, მან მოინდომა სპარსეთის „მფარველობიდან“ განთავისუფლება, განუდგა თავის სიუზერენ შაჰს და რუსეთის მოკავშირეთ გამოაცხადა თავი.

მხოლოდ პეტრე დიდი მალე უკან გაბრუნდა და მთელი ეს შარი ისევ საქართველოს დაატყდა თავზე; შაჰის შურისძიება რომ აეცილებია საქართველოსაგან, ვახტანგმა უარყო ტახტი.

დაღუპულ მოკავშირეს სანუგეშოდ პეტრე დიდმა მიიპატიჟა ვახტანგი რუსეთში.

მაგრამ ეულ მეფეთ არც სტუმრობაში ჰქონიათ ბედი: როდესაც ვახტანგმა შვილითურთ პეტრეს ქალაქს მიაღწია, პეტრე დიდი უკვე ახალი გარდაცვალებული იყო; მისმა მეუღლემ ეკატერინემ კარგად მიიღო ქართველი მეფე და ვახტანგმა აქ რამოდენიმე წელიც დაჰყო იმის იმედით, რომ რუსები დაეხმარებოდნენ სამეფოს დაბრუნებაში; ამისათვის მან დასთანხმდა შუამავლობა გაეწია რუსეთის და სპარსეთის შორის ზავის ჩამოგდებაში; გაემგზავრა კიდეც შაჰთან, მაგრამ ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე დაიმარხა სამშობლოსგან დავიწყებული. მხოლოდ საქართველოს ჭირისუფალმა დავით გურამიშვილმა გამოიტირა მეფე თავის „დავითიანში“ და კიდევ ვიღაც უცნობმა მადლიანმა ხელმა დასწერა მისი საქმები პოემა „ვახტანგიანი“.

ამ ზაფხულს ბედნიერი ვიყავი მენახა ვახტანგ მეფის საფლავი; იგი ძევს ასტრახანის საკათედრო სობოროს ქვედა, ძველ ეკლესიაში (სობორო ორ სართულიანია) შესავლიდან მარჯვენა სვეტთან, იატაკის ქვეშ; უწინ თურმე ძეგლიც ამშვენებდა ვახტანგის საფლავს, მაგრამ 1801 წელს (საქართველოს შემოერთების წელია) იქაურ ეპისკოპოსს უბრძანებია ძეგლის დანგრევა—რომ ეკლესიაში მეტი ადგილი ყოფილიყო, მის მაგიერ სპილენძის ფიცარი აეკრათ სვეტზე; შემდეგ ისიც აუღიათ და ამჟამად იქ მხოლოდ უბრალო შავი თუნუქის ფირფიტაა, რომელზედაც თეთრი ასოებით სწერია:

Здѣсь погребено тѣло Грузинскаго царя Вахтанга VI. † 25 марта 1734 года *).

**გრ. ვეშაპელი.**

# მიხეილ ნიკოლოზის ძე ვიზირიშვილი

მოულოდნელმა შავმა სიკვდილმა ხელიდგან გამოგვტაცა ერთი ტკბილი ქართული ენით მოსაუბრე. მიხეილ ვიზირიშვილს ქართული პრესა იცნობს ჯერ კიდევ „ივერიის“ თანამშრომლათ, ილიას ხელმძღვანელობის დროს. ჯერ კიდევ ახალგაზრდას (47—48 წ.) კიდევ შეეძლო ჩვენი მშობლიური ლიტერატურისათვის დიდი სარგებლობა მოეტანა. მიხეილმა კარგა ხანი ვერა ჰპოვა ნიადაგი. „ივერიის“ შემდეგ სამოქმედოთ ამ ბოლო დროს რამდენიმე წერილი, თბილი-გრძნობით სავსე წერილი, მოათავსა გაზეთ „საქართველოში“ და ეტყობოდა აპირებდა ამ ორგანოსთვის მთელი თავისი ძალღონე მოეხმარებინა.

მიხეილი არ იყო მყვირალა და ცუნცრუკა. მისი სიოსავით მშვიდი, კრძალული ხასიათი არ ეგუებოდა მეტის მეტს ბაქი-ბუქს. ანდერძიც ამნაირი დატოვა. სოფლათ დამმარხეთ, გორაკზე უცერემონიოთ.

ჩვენი ინტელიგენცია, მოგახსენებთ, არ იცნობდა მიხეილს, სამაგიეროთ ხოვლელი და ყარაღაჯელი გლეხები კი დიდის სიყვარულით მოიხსენიებენ თვის საყვარელ ძმას ჭირში და ლხინში „მიშას“. სწორედ გლეხის საქმემ უყო რომ ბოლო მოუღო ამ პატიოსან პიროვნებას. 20 ამ თვეს გაემგზავრა სოფელ სურამში ერთი გლეხის საქმეზედ. მუქთად იცავდა. გზაში კოკისპირულმა ავდარმა მოუსწრო და მიზეზათ ეს გაუხდა მის ავადმყოფობას.

საუკუნოთ იყოს სახელი შენი ჩვენ შორის ჩვენო მიშა.

**გულდამწვარი.**

---

*) იმავე ეკლესიაში, პირდაპირ, მარცხენა სვეტთან, მარხია ვახტანგ მეფის სიძე,—თეიმურაზი, ცნობილი თავის გალექსილი „რუსთველთან საუბრით“; ისიც რუსეთში გადაცვლილა, დედოფალ ელისაბედის სახაბავად წასული.

# ხმობა ხილისა და მწვანილეულობისა

არავის არ მიუქცევია ყურადღება დღემდის ამ სასარგებლო და ადვილ საქმისათვის ისე სერიოზულათ, რომ რამე სარგებელი მოეტანა ან თავისათვის, ან სხვისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ უცხო ქვეყნიდან მოტანილს მამასისხლათ ვყიდულობთ, მაინც არ დაუინტერესებივართ და საცდელათაც არ გვიშინჯავს ამ საქმის წარმოება. დღემდის რუსეთში იზიდებოდა აუარებელი გამხმარი ხილიც და ბოსტნეულიც ამერიკიდან, სპარსეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ისპანიიდან და საბერძნეთიდან. მაშასადამე, სარგებელიც დიდი უნდა ყოფილიყო, რომ ამ სიშორიდან ეზიდებოდნენ და ჩვენში ჰყიდდნენ. ჩვენ ამისთვის როგორც ზემოთა ვსთქვი განსაკუთრებული ყურადღება არ მიგვიქცევია და სიამოვნებით ვყიდულობდით კი ზამთარში, როცა ჩვენ არც ხილი და აღარც ბოსტნეული არა გვქონდა და ის-კი აღარ გვიფიქრია, რომ ყველა ჩვენგანს შეუძლიან ამ სულ ადვილ და სარგებლიან საქმის წარმოება. თურმე დიდი სარგებელი მოაქვს ამ არა საყურადღებო საქმეს. ხმობით შეგვიძლიან მთელი ჩვენი ბაღის და ბოსტნის მოსავლის შენახვა, არამც თუ ერთს წელიწადს არამედ ორსაც და სამს წელიწადსაც. გამხმარი ხილი და ბოსტნეული არა ჰკარგავს თავისს გემოვნებას. განსაკუთრებით კავკასიელებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბოსტნეული, ჯერ ეს ერთი, რომ, დიდი მოტრფიალენი ვართ და მეორეც ის, რომ სოფლათ, ხან და ხან ქალაქშიც, მოკლებულნი ვართ ძალიან ხშირათ ხორცს, მით უმეტეს ამ ჟამათ, როცა გირვანქა ღირს ცხრა და ათი შაური და კიდეც, რომ ბევრი იყოს ვერ შევძლებთ ყოველთვის ყიდვას. მაშასადამე ჩვენ, რომ წვანილი გვექნება, არ განვიცდით არც უხორცობას და არც უფულობას. უხორცობას არ ვიგრძნობთ იმისათვის, რომ წვანილი იგივე აუცილებელი ნივთიერებიდან შესდგება რა ნივთიერებაც საჭიროა ძდამიანის სიცოცხლისათვის (Бѣлки, углеводы, жиры).

რა თქმა უნდა გამხმარს წონა ნაკლები აქვს: ათი ფუთი ნედლი კომბოსტოდან გამოდის 12—14 გირვანქა გამხმარი, 10 ფუთი ჭარხლიდან 14—15 გირვანქა და ისე კიდევ სხვები და რასაკვირველია ასეთი წონა ცოტა ალაგსაც დაიჭერს, არც გაგზავნა დაჯდება ძვირი და არც იმის შიში გვექნება, რომ გზაში წახდებაო, გინდაც რომ სამი ოთხი თვე იაროს რკინის გზით. ყველა წვანილი იგზავნება ცალ-ცალკე მაგ. კომბოსტო ცალკე, ჭარხალი ცალკე, ხახვი და სხვა. გამოანგარიშებულია, რომ ორმოცდა ათ კაცზე საკმარისია ოთხი გირვანქა გამხმარი მწვანილიდან დამზადებული წვნიანი. მზარეულს აღარ უჭირს და აღარც წონა სჭირდება და აღარც ანგარიში, ადუღებულს წყალში ჩაჰყრის პირდაპირ და საჭმელი საათ ნახევარში მზათ არის, ასე რომ ამ ჟამათ დიდს ყურადღებას იქცევს მწვანილის და ხილის ხმობა და შემდეგისათვისაც არ უნდა მივაგდოთ კუნჭულში, რომ ჩვენი ბაღი და ბოსტანი იყვეს ზამთარ—ზაფხულ აყვავებული და არა დამპალი და უსარგებლოთ გადაგდებული.

ნინო კიკნაძე.

# დაბა-სოფლები

„ხევი". აქეთ დიდს განსაცდელში ჩაცვივა მთის ხალხი, როდესაც გაიწვევენ ომში პირველ და მეორე ხარისხის ჯარის კაცებსა. ვის არ მოეხსენება, რომ მთის ხალხის ცხოვრება, როგორც უმამულო და უნაყოფო ალაგისა, ცხვარ საქონლის მოშენებაზედ არის დამოკიდებული. ხევი, გუდამაყარი, მთიულეთი, თრუსო, აგრეთვე თუში და ფშაველი მისდევს ამ სასარგებლო საქმეს—მემცხვარეობასა და ამითი ირჩენს თავსა. ამით ისტუმრებს სათემო თუ სახაზინო გადასახადებსა, ემსახურება ხატს, ღმერთსა, მოკეთეს; ამითი უსრულებს მიცვალებულს წესებს და მითივე იხდის ქორწილ-ნათლობასა. ქართული ცხვრის ფარა მთა-ბარობს და სხვა ქვეყნის ცხვარივით მუდამ ერთს ალაგზე როდი ხეირობს. ეხლა ცხადია, რომ ეს მემცხვარეობა მოისპობა მთის ხალხში, რადგანაც ომში გარეკილი მემცხვარე ველარ აწარმოებს თავის ცხვრის ფარას უპატრონობის გამო. აქვე ვხედავთ, რომ ზოგს ოჯახში სამი ან ოთხი შვილი წასულია და ზოგს მამაც თან მიზდევს. ამ პირობებში რჩება ცხვარი მთლად უპატრონოდ. და დააკლდება დაობლებულს ხიზანს და მოხუცებულებს უმთავრესი წყარო არსებობისა. სად იშოვნოს მემცხვარემ მწყემსი? ვინ დაუყენოს სამტრო სამგლო უცხო მხარეში პატრონი? მანდილოსნები? 17 წლის ბავშვები თუ 50—60 წლის და ჯაფისაგან მოღალულ-მოწყვეტილი ხნიერები? ცხვარი ყოველგან იყო და არის იმ ახალგაზდობის ხელში, რომელსაც ჯან-ღონე შესწევს და მტერთან და მგელთან მაგარი და გულადი ვაჟკაცი წინ უდგას ფარასა. ვსთქვათ აილოს და გაყიდოს დღეს უეცრათ ყველა მთის მკვიდრმა ეს ერთად-ერთი საზრდო და მარჩენელი საშუალება მთის ხალხისა!.. მერე რილათი ირჩინოს თავი ამ უმოსავლო მიწაწყლის პატრონმა? ეს თვითონ სახელმწიფოსათვისაც საზარალო არის, ჯერ ერთი იმითი, ხალხი ეკონომიურად ჩამორჩენილი და მშიერი საკვებავად ხაზინასვე დააწვება, მეორეც ფაბრიკებში და ზავოდებში მატყლის უქონლობაც ხაზინისვე საგრძნობელათ ზარალი იქნება. წინა წერილში გწერდით, რომ გვალვამ აქაურობა გადაბუგა და თივა და ქერის მოსავალი აღარ იქნება მთაში ხალხისთვისა მეთქი, ახლა კიდევ ცხვარიც რომ მოისპოს, ჯარში გაწვევის მიზეზითა, რა ღონე და სახსარი უნდა იხმაროს შინ დარჩენილმა უპატრონო ოჯახმა, რომ საზრდო საიდანმე შეიძინოს? ასეთს მდგომარეობაში არიან ამ ჟამათ ჩვენი მთის მკვიდრნი საზოგადოთ და აღარავინ იცის თუ როგორ მოიქცეს.

კალმის-წვერა.

# ანგარიში

(დასასრული)

„ქართველ მოღვაწეთა აგარაკის" ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 1-ს ივნისიდამ 20 ივნისამდე შემოვიდა შემოწირულება შემდეგ პირთაგან:

ორ-ორი მანეთი.

ივანე მაქ. სალარაძისაგან, ელენე ბეჟან. ორჯონიკიძისაგან, ანნა ზაალ. ორჯონიკიძისაგან, დომენტი ენუქიძისაგან, ემელიან მიხ. გორგაძისაგან, ნიკოლ. გიორ. ავსაჯანიშვილისაგან, მიხეილ გივის ბექაურისაგან, სოლომონ ველთაურისაგან, დავით ახრახაძისაგან, პ. მ. კორშიასაგან, თამ. ალ. მუსხელაშვილისაგან, დ. ი. იორაშვილისაგან, რ. სიხარულიძისაგან, გრიგოლ ხელაძისაგან და იოსებ ივან. ბობაშვილისაგან.

პეტრე ნიკიფორიძისაგან 1 მ. 55 კ.

თითო მანეთი და ათი შაური.

სერგო ჯიქიასაგან, დიმიტრი საყვარელიძისაგან და ვარფალამი ხელიასაგან.

სარდიონ სურგულაძისაგან 1 მ. და 20 კაპ.

თითო მანეთი.

მიხეილ ჭანუყვაძისაგან, არსენ ბოპიტაშვილისაგან, ესედ ეფენდი კობახიძისაგან, ვლადიმერ კალანდარაშვილისაგან, პართენ გოლიაძისაგან, ნ. ხარაზისაგან, ეფროსიმე მამალაშვილისაგან, ვლად. მალაქ. გიორგობიანისაგან, ელენე ქიქოძისაგან, ლიზიკო ჭელიძისაგან, მარიამ გაჩეჩილაძისაგან, ანეტა მგალობლიშვილისაგან, პავლე იმნაძისაგან, ხარიტონ ჭელიძისაგან, მღვდელ ექვთიმე თოდრიძისაგან, იასონ ანდღულაძისაგან სერგო ინწკირველისაგან, თევდორე ანთაძისაგან, კირილე ძაძუაშვილისაგან, ნიკიტა ჯინორიძისაგან, მურზა როსტ. ქავთარაძისაგან, გიორგი სვიმ. ლაზარიაშვილისაგან, მიხეილ ესტ. რურუასაგან, მართა გიგ. ბექაურისაგან, მ. ნ. ბაკურაძისაგან, ილია მიხ. ბექაურისაგან, არსენ მიხ. ბექაურისაგან, ლევან გრიგ. ჩქარეულისაგან, ალექ სოლ. ლობჯანიძისაგან, კონსტ. ივან. ღარიბაშვილისაგან, ელენე ივან. ღარიბაშვილისაგან, მათიკო ივან. ღარიბაშვილისაგან, კონსტანტ. ვაშკალშვილისაგან, გაბო სუხაშვილისაგან, იაგორ ბარახუსტოვისაგან, გიორგი პავლ. ზაკაიძისაგან, სიკო ბადურაშვილისაგან, დავით სეფერყულოსაგან, გიორგი ოტიას. გოშაძისაგან, გიორგი იოსებ. ქორიკაშვილისაგან, ილიკო ელიავასაგან, მელიტონ მაისურაძისაგან, ვასილ ჭელიძისაგან, ბარნაბ მიქაძისაგან, ლავრენტი გვაზავასაგან, რაფაელ კვიტიშვილისაგან, აპოლონ ინასარიძისაგან, პლატონ ს. გველესიანისაგან ბარბარე კოსტ. ერისთავისაგან, გ. ჯანიაშვილისაგან, დ. ს. ციხისთავისაგან, ილიკო ხაჩიძისაგან, მიხა შოშიაშვილისაგან, ლევან ესტატ. ქუშაშვილისაგან, ბაგრატ ხვიტარიასაგან, კოსტა ცერცვაძისაგან, თეოფილე ერაძისაგან, პეტრე ერაძისაგან და დავით გრიგოლიასაგან.

62 კაპ. ილია მიქავასაგან, და ხარიტონ ცევავასაგან.

60 კ. ამბაკო მგელაძისაგან და მღ. ბ. გილონტისაგან.

ათ-ათი შაური.

იაგორ ერმოლ. ჭელიძისაგან, კატო ასათიანისაგან, სონა სულუხიასაგან, გიორგი მიხ. ქიქოძისაგან, ნინო ანდღულაძისაგან, დომენტი ინწკირველისაგან, ერმილე ცქვიტინიძისაგან, მირონ რამიშვილისაგან, ივსიხი ინწკირველისაგან, ბაბალე ჭელიძისაგან, მარო ინწკირველისაგან, ნადია ნიკოლაიშვილისაგან, მარკოზ ანდღულაძისაგან, ალექ. ცინცაძისაგან, გივი იმნაძისაგან, თევდორე ანთაძისაგან, ერმილე ქავთარაძისაგან, ვახტანგ ასათიანისაგან, მათე ქვალარიასაგან, ივანე ლეონტიევისაგან, სევასტიან ნიკოლაშვილისაგან, ალექსანდრე ფარიაულისაგან, ალექ. მათ. ქაიშაურისაგან, პავ. ისაკ. ლალაშვილისაგან, ერეკ. ლომინაძისაგან, კოს. გიორგობიანისაგან, ნიკ. ნომზაძისაგან, კოსტა პაპავასაგან, ანნა ხაჩიძისაგან, კირილე კოტიასაგან, დიმიტრი ადანაიასაგან, ვარლამ ადგანაიასაგან, ამბაკო გრიგოლაიასაგან, ვასილ პატარაიასაგან, პავლე დანელიასაგან, ალექსანდრე ხიშელისაგან, კატო ჭელიძისაგან, დათა ლომჯარიასაგან, ერასტი წულისკარიასაგან, არსენ აბრამოვისაგან, გერასიმე ბორხაძისაგან, სანდრო ლლონტისაგან, გუსეინ ალა დოხჩერ ოღლისაგან, ვულალა კაიკაციშვილისაგან, ალლი რეიზ ჩერქეზიშვილისაგან, ნიკო ხარბედიასაგან, თევდორე ერქომაშვილისაგან, ვალოდია ჯოჯუასაგან, მამედ ეფენდი გოგიტიძისაგან, ხასან უსნამერ ოღლისაგან, ნიკიფორე ბარამიძისაგან, ნური ეფენდი ჯიჯავაძისაგან, ლავრენტი ანდღულაძისაგან, ალი ალა მამედ ოღლისაგან.

ორ-ორი აბაზი.

ბაირამ ალი ოღლისაგან, ალი მამედ ოღლისაგან, აღათი სურგულაძისაგან.

შვიდ-შვიდი შაური.

ბენალი ალი ოღლისაგან, ოლღა ბურიაჩენკოსაგან.

ექვს-ექვსი შაური.

მამედ მეიტ ალი ოღლისაგან, მურად მეიტ ალი ოღლისაგან, გუსეინ ალი ოღლისაგან, ბაირამ ვარიშ ოღლისაგან, მეშად ალი ოღლისაგან, გუსეინ ალი ოღლისაგან, ბეირამ მუხტარ ოღლისაგან, ხასან მუსა ოღლისაგან, ალექსანდრე ჭელიძისაგან, სერგო ანდღულაძისაგან, კატო დგებუაძისაგან, კონსტანტინე მენაღარიშვილისაგან, ალექსანდრე ცინცაძისაგან.

ხუთ-ხუთი შაური.

ფილიპე ჭანიშვილისაგან, ავაქი გვათუასაგან.

თითო აბაზი.

ს. კემხაძისაგან, ლიზა აბრამიანცისაგან, დ. ქათამაძისაგან, მიხაკო ჭიფხოძისაგან, პავლე ზიაძისაგან, ლადიკო გახუასაგან, დიომიდე ხოშერიკისაგან, უსუფ მარარ ოღლისაგან, არსენ გებელიძისაგან, რაჟდენ ფირცხელაშვილისაგან, პავლე ნადირაძისაგან.

ილია მახარ ოღლისაგან 15 კაპ.

დურსუნ მეგრელიძისაგან 10 კაპ.

სააგარაკო კომისიის თავმჯდომარე

ალ. ხ. ლორთქიფანიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 7 „ 58 „ | დილ. |

ტფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . | 7 „ 58 „ | საღ. |

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія — Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre — Genève.

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ ცნობის ბიუროს ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი"

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასშ

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და ასრულებს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

სავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ."

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Табарткиладзэ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგვინეთები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ოშეშინა" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)